პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 სამშაბათი 25 მარტი № 70 (16196) ფასი 2 კაპ. 1975

ხუთწლედის დამლევამდე

281 დღე დარჩენილა

ყოველი დღე, ყოველი საათი—დასაჯერებელია!

მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია —გეგმის გადამეტებით!

მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება—ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით!

ეს საბჭოთა საქართველოს ღირსების საქმეა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმი. ამ პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებამ საშუალება მოგვცა ძირეული გარდატეხა მოგვეხდინა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წარმოების განვითარებაში. „სოფლის მეურნეობის აღმავლობა, — თქვა პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ეს არის ის, რაც საარსებოდ აუცილებელია კომუნიზმის წარმატებით მშენებლობისათვის“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის ისტორიული პლენუმის 10 წლისთავს მიეძღვნა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“, რომელიც მოიწვიეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ, უმაღლესმა პარტიულმა სკოლამ, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ. კონფერენცია გაიხსნა 24 მარტს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ ამხანაგები თ. დ. კულაკოვი, დ. ს. პოლიანსკი, პ. მ. მაშეროვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. თ. სიზოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ნ. ნურიევი, მინისტრები და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მეცნიერები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, წარმოების მოწინავენი, პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ა. გ. ეგოროვმა.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმი თანამედროვე ეტაპზე პარტიის აგრარული პოლიტიკის საფუძველია“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. დ. კულაკოვმა.

ჩვენი ქვეყნის ისტორია, თქვა მან, მდიდარია ღირსშესანიშნავი მოვლენებით, რომლებიც დიდმნიშვნელოვან ნიშანსვეტებს წარმოადგენენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლის გზაზე. პარტიასა და ხალხის ცხოვრებაში ერთ-ერთი ასეთი თვალსაჩინო მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმი, რომლის შემდეგაც ათი წელი გავიდა.

თეორიული და პოლიტიკური დასკვნებისა და მათგან გამომდინარე პრაქტიკული ამოცანების მნიშვნელობით, სოფლის სოციალურ-ეკონომიურ პროგრესზე და მთლიანად ეკონომიკის განვითარებაზე ზემოქმედების სიღრმითა და ძალით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმს განსაკუთრებული დგება უკავია. ამ პლენუმზე შემუშავდა პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკის საფუძვლები. საფუძვლიანად გაშუქდა სოფლის მეურნეობის აღმავლობის ძირეული საკითხები, განსაზღვრა მათი გადაჭრის მთავარი მიმართულებანი. პლენუმმა დასაბამი მისცა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ ეტაპს.

სკკპ თანამედროვე აგრარული პოლიტიკა მისი საერთო პოლიტიკური კურსის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იგი არის ახალ ისტორიულ პირობებში აგრარულ საკითხზე ვ. ი. ლენინის მოძღვრების გაგრძელება და შემოქმედებითი განვითარება. ამ პოლიტიკის არსი, მისი მთავარი მიმართულებანი და მიზანი მეცნიერულად დასაბუთდა ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმზე, ხოლო შემდეგ განვითარდა ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის, 1968 წლის ოქტომბრის, 1970 წლის ივლისის პლენუმებზე, პარტიის XXIII და XXIV ყრილობებზე. კომუნისტური მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში, თანამედროვე აგრარული პოლიტიკისა და მისი განხორციელების მეთოდების შემუშავებაში უდიდესი პირადი წვლილი შეიტანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს.

სოფლის მეურნეობის დარგში პარტიის ახალ კურსს ახასიათებს პრობლემების გადაჭრისადმი კომპლექსური მიდგომა, მეცნიერული დასაბუთება, ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკული გამოცდილებისა და პირობების გათვალისწინება, მიზნისა და მისი მიღწევის გზების ერთიანობა.

აღნიშნა რა სოფლის მეურნეობის უდიდესი როლი ქვეყნის ეკონომიკაში, ხალხის საარსებო დონის ამაღლებაში, მომხსენებელმა მოიყვანა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „საბჭოთა ხალხის ინტერესები, კომუნისტური მშენებლობის ინტერესები მოითხოვენ, რომ ჩვენ გვქონდეს არამარტო ძლავრი მრეწველობა. არამედ მაღალგანვითარებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაც, რომელსაც შეუძლია მთლიანად უზრუნველყოს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნები ,კვების პროდუქტებზე. მრეწველობისა კი ნედლეულზე“.

შემდეგ ამხ. თ. დ. კულაკოვი დაწვრილებით შეეხო პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელების, სოფლად ეკონომიური ურთიერთობის სრულყოფის კურსის შესრულების აქტუალურ პრობლემებს, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მის ყოველმხრივ ინტენსიფიკაციასა და თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანას.

მან აღნიშნა, რომ ითვალისწინებენ რა ქვეყნის მზარდ ეკონომიურ პოტენციალს, პარტიამ და სახელმწიფომ მიზანშეწონილად ცნეს ერთგვარად ხელახლა გადაანაწილებინათ ეროვნული შემოსავალი სოფლის მეურნეობის სასარგებლოდ და გაეიდოებინათ კაპიტალური დაბანდებანი ამ დარგში. კაპიტალურ დაბანდებათა ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობაში მეცხრე ხუთწლედში შეადგენს სახალხო მეურნეობაში დაბანდებათა საერთო მოცულობის 26 პროცენტს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლების დონეს. 1965-1974 წლების მანძილზე სოფლის მეურნეობაში დაბანდებულია 195 მილიარდი სახელმწიფო და საკოლმეურნეო სახსრები — 2.8-ჯერ მეტი, ვიდრე წინა ათწლეულში.

დიდი მუშაობა შესრულდა სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის. სასოფლო-სამეურნეო შრომის ენერგოდაზოგვიერთა ამ დროის მანძილზე გაიზარდა ერთიორად და მეტად, მისი ფონდშეიარა კი 2.5-ჯერ. სოფლის მეურნეობისათვის სასუქების მიწოდება გაიზარდა 3-ჯერ და მეტად და მომდინარე წელს მიაღწევს 72 მილიონ ტონას.

ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით შემუშავებული იყო და ახლა ხორციელდება სამელიორაციო სამუშაოთა ვრცელი გრიელვადიანი პროგრამა. 1965-1974 წლებში ბრუნვაში მოექცა 13 მილიონ ჰექტარზე მეტი სარწყავი და დაშრობილი მიწები, რაც ერთიორად მეტია, ვიდრე წინა ათ წელიწადში. მიწათმოქმედების თვისებრივი გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი რგოლია რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადგიან ზონაში სამელიორაციო სამუშაოთა გაძლიერება.

იხილავს რა სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებსა და მისი შემდგომი ინტენსიფიკაციის კონკრეტულ გზებს, მომხსენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო სოფლის მეურნეობის წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის ფორმების სრულყოფის, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავების საკითხებს.

სამეურნეობათშორისო კოოპერაცია თვისებრივად ახალი ეტაპია ლენინური კოოპერაციული გეგმის დადგენის განვითარებაში. იგი საშუალებას გვაძლევს წარმატებით გადაწყვიტოთ სოფლად კომუნისტური მშენებლობის ბევრი სოციალური და ეკონომიური პრობლემა, აქტიურ როლს ასრულებს წარმოების განსაზოგადოების დონის ამაღლებაში, სოფლის მეურნეობაში საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფაში.

სოფლის მეურნეობის დაჩქარებული აღმავლობის ღონისძიებათა სისტემაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ორგანიზაციული ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას, სკკპ სასოფლო რაიკომების საქმიანობის გაქტიურებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა განმტკიცებას. ყოველივე ამან ბევრად გაიფართოოა პარტიულ ორგანიზაციათა კავშირი მასებთან, დადებითი გავლენა მოახდინა ყველაზე მთავარზე — მინდვრებისა და ფერმების მუშაკთა შრომისა და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებაზე შრომაში უკეთესი მაჩვენებლებისათვის სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში.

ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით პოლიტბიუროს უდიდეს ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სპეციალისტების, მრეწველობის მუშაკების, მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებულ შრომას მოჰყვა ძირეული ცვლილებანი სოფლის მეურნეობაში. ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობა ამ წლების მანძილზე მნიშვნელოვნად განვითარდა, იგი მტკიცედ იქცევა სოციალისტური ეკონომიკის მაღალგანვითარებულ სექტორად.

დიდი ძვრებია მიღწეული სოფლის მეურნეობის ძირითადი პრობლემის გადაჭრაში: მარცვლეულის საშუალო-წლიურმა წარმოებამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე შეადგინა 191 მილიონი ტონა — თითქმის ერთ-ნახევარჯერ მეტი, ვიდრე მარტის პლენუმის წინა ხუთწლეულის მანძილზე. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ბევრად გაიზარდა ხამი ბამბის მოსავალი. რძის წარმოება გადიდდა 1,5-ჯერ, ხორცისა — 1,8-ჯერ, კვერცხისა — ერთიორად და მეტად. დამახასიათებელია, რომ პროდუქციის წარმოების ზრდას ახლა აღწევენ უპირატესად ინტენსიური ფაქტორების — სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების გზით. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა, აგვემაღლებინა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მათი მოხმარების დონე და გაგვუმჯობესებინა საბჭოთა ადამიანების კვების სტრუქტურა.

მომხსენებელმა აღნიშნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში მოპოვებული უდაო წარმატებანი და ამასთან ხაზი გაუსვა, რომ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტებზე საზოგადოების მოთხოვნათა უზრუნველყოფის თვალსაზრისით მიღწეულ დონეს საკმარისად ვერ მივიჩნევთ. სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ გვაქვს ბევრი ნაკლი და ხარვეზები, გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობები.

შეეხო რა საწარმოო ძალების განვითარებისა და სოციალური პროგრესის გზაზე მოპოვებულ წარმატებებს სოფლად, ამხ. თ. დ. კულაკოვმა აღნიშნა დიდი წვლილი, რომელიც ამ საერთო საქმეში შეიტანეს ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიის. ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მშრომელებს, ჩვენს მუშათა კლასს.

მან დიდი ყურადღება დაუთმო მეცნიერთა წინაშე დასახულ ამოცანებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში სოფლის მეურნეობას განსაკუთრებით სჭირდება ახალი იდეები, რომლებსაც შეუძლიათ წარმოების გარეგნულ-ეფექტურობა.

მეცნიერთა და ცხოველთა ბუნების შესახებ ფუნდამენტური ცოდნის განუწყვეტელი ნაკადი. ეკონომიური და სოციალურ პროგრესის გზების განსაზღვრაში. სოფლად ,ულტურისა და ყოფა-ცხოვრების პრობლემათა შემუშავებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკისა და მისი მიღწევების აქტიურ პროპაგანდაში დიდი როლი ენიჭებათ საზოგადოებრივ მეცნიერებებს.

უფრო აქტიურად უნდა განვავითაროთ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, მოწინავე საწარმოო გამოცდილების გაზიარება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან. ერთად უნდა ვაწარმოოთ მუშაობა თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადაყვანის აქტუალურ პრობლემათა გადაჭრისათვის.

დასასრულ თ. დ. კულაკოვი შეეხო 1975 წლის და მთელი ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებასთან დაკავშირებულ ამოცანებს, მეათე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის, განვითარების. მომავალი ხუთწლედი, როგორც ერთ-ერთ ეამოსვლაში თქვა ამხანაგმა ლ. ი ბრეჟნევმა, უწინარეს ყოვლისა უნდა გახდეს ხარისხის ხუთწლედი. ეფექტიანობის ხუთწლედი. რათა ,ედეგ უფრო გაუმჯობესდეს ხალხის ,ეთილდღეობა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ზრდასთან ერთად სოფლის მეურნეობაში სულ უფრო მეტად დგება პირველ პლანზე ხარისხობრივი ფაქტორები.

თავისი დიადი სასიცოცხლო ძალა ცხადყო ,ენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის ,ურსმა. რომელსაც აქტიურად დაუჭირა მხარი ხალხმა. პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის მტკიცე აღმავლობის პოლიტიკური ხაზი პარტიული. საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების. პროფკავშირებისა და კომკავშირის. საფუძველო საკავშირო ,ეფერენციებებზე ,ხელმძღვანელი ,ადრების და ყველა მშრომელის პრაქტიკული საქმიანობის ,ერყვეი საფუძველია სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი და ყოველმხრივი განვითარებისათვის ბრძოლაში.

პარტია თავის აგრარულ პოლიტიკაში ,ველაზეც განუხრელად განაზორციელებს ამ ,ენინური ,ურსს, შემოქმედებითად განვითარებს მას მომავალშიც ახალი ამოცანებისა და ცხოვრების მოთხოვნათა შესაბამისად. კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებისათვის.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. მ. მაშეროვმა გააკეთა მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკა და სოციალური პროგრესი სოფლად“.

ყველაფერი, რაც ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში გაკეთდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ, თქვა მან, მეტად თამამებენდავად ადასტურებს, თუ რაოდენ შემოქმედებითი, კომპეტენტური, მეცნიერულად დასაბუთებულია პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მიდგომა ჩვენი საზოგადოების ძირეული ეკონომიური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტისადმი. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავებულია და თანამიმდევრულად სრულდება ფართო, პერსპექტივისათვის გათვალისწინებული, ყოველისმომცველი აგრარული პროგრამა. რომელიც საშუალებას გვაძლევს სრულად ჩავაყენოთ ხალხის საშსაურში მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების უდიდესი შესაძლებლობანი და უდავო უპირატესობანი.

პარტიის ახალი კურსი სოფლად დიდ ზემოქმედებას ახდენს იმ პრობლემების მთელ სპექტრზე, რომლებიც უკავშირდება სოფლის მეურნეობის მუშაკის პიროვნების განვითარებას, გლეხის შრომასა და ყოფა-ცხოვრებას, მისი მოთხოვნილებების, საზოგადოებასა და კოლექტივთან ურთიერთობის ფორმირებას.

სოფლის სოციალური პროგრესი თვალნათლივ ვლინდება სოფლის მეურნეობის მუშაკთა ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებაშიც. 1965 წლიდან 1974 წლამდე კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება ბელორუსიაში 2,5-ჯერ გაიზარდა. სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობა აქვს გლეხის ოჯახის შემოსავლის სტრუქტურის შეცვლასაც. საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წონა თითქმის ერთიორად გაიზარდა.

საკვლევი ცხადია, რომ პირადი დამხმარე მეურნეობის არსებობა ჯერჯერობით ობიექტური აუცილებლობაა. და თუ ჯერ ვერ ვამბობთ უარს ასეთ მეურნეობაზე, ჩვენი აზრით, შეგვიძლია და კიდევაც უნდა დავადგეთ უფრო აქტიურად იმ გზას, რომ შევუმსუბუქოთ სოფლის მშრომელს ამ მეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული ზოგიერთი დამამძიმებელი საზრუნავი.

ბ. მ. მაშეროვმა აღაპარაკა მინსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ლუბანის“ გამოცდილებაზე, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა ამ მიმართულებით.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო სოფლის კულტურის ინტენსიური აღმავლობის პრობლემებს და ხაზი გაუსვა, რომ ეს წარმოუდგენელია, თუ ფართოდ არ გამოვიყენეთ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მთელი კულტურული პოტენციალი, და ამ პრობლემის ყველაზე პერსპექტიული გადაწყვეტა ის არის, რომ გაძლიერდეს ჩვენი ქალაქების, როგორც კულტურის ცენტრების როლი, ქალაქი სულიერი გამდიდრების სტაციონარული ბაზა უნდა გახდეს სოფლის მშრომელებისთვისაც.

ამხ. პ. მ. მაშეროვმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი 8-10 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მკვეთრად გაიზარდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი, მატულობს ავრეთვე დიპლომიანი ინჟინრების, ეკონომისტებისა და ტექნიკოსების რიცხვი, და ყურადღება მიაპყრო საშუალო სკოლის როლს ამ დიდ საქმეში.

დრო დაბეჯითებით მოითხოვს: ათწლედის თვითეულმა კურსდამთავრებულმა უნდა მიიღოს არა მარტო ზოგადი საშუალო განათლების ატესტატი, არამედ რეალური მომზადებაც კონკრეტული სახეობის პროფესიული საქმიანობისათვის. თვითეულ საშუალო სკოლას უნდა ჰქონდეს გარკვეული პროფესიულ-გამოყენებითი პროფილი, რომელიც ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომ უფროსკლასელებმა შეისწავლონ კონკრეტული სპეციალობანი.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო სოფლის გარდაქმნის, სოციალური დაგეგმვის პრაქტიკის სრულყოფის საკითხებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურმა აგრარულმა პოლიტიკამ, თქვა დასასრულ ამხ. პ. მ. მაშეროვმა, სოფლის ეკონომიურ და სოციალურ განვითარებას მიანიჭა მასშტაბურობა, ფართო გაქანება და სწრაფი ტემპი. ამ მრავალმხრივ პროცესს, რომელსაც პრინციპულად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების წარმატებული მშენებლობისათვის, საქმის ცოდნით წარმართავენ პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დაუცხრომელი მუშაობა. პარტიის პოლიტიკა, მისი ბრძნული ხელმძღვანელობა სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალ წარმატებათა საწინდარია.

„მეურნეობათაშორისი კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია“ — ასეთია თემა მოხსენებისა, რომელიც გააკეთა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ი. ბოდიულამ.

კომუნიზმის მშენებლობის ისტორიულ პროცესში საბჭოთა ხალხის უდიდესი წარმატებანი, ხაზი გაუსვა მან, განპირობებულია კომუნისტური პარტიის რევოლუციური მოღვაწეობით, მისი პოლიტიკით, რომელშიც გამოხატულებას პოულობს სოციალისტური საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერებანი და ვლინდება მშრომელთა ძირეული ინტერესები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიური პროგრამაში დიდი ადგილი ეთმობა სოფლის მეურნეობას, და თქვა, რომ სოფლად სწარმოო ძალების წარმატებით განვითარების საკირო პირობების შექმნის მთავარი მიმართულება და წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის მძლავრი საშუალებაა წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის ახალი ეტაპი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში ყამირის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომაზე, რომელიც ალმა-ათაში გაიმართა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმოების კონცენტრაციის შეხამება მის სპეციალიზაციასთან სოფლის მეურნეობის განვითარების ერთადერთი სწორი გზაა.

შემდეგ ამხ. ი. ი. ბოდიულმა აღნიშნა, თუ რა მუშაობა გასწია მოლდავეთის პარტიულმა ორგანიზაციამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის. მისი მართვის ახალი ფორმების განსაზღვრისა და განვითარებისათვის.

განსაკუთრებით დიდია მეურნეობათაშორისო კოოპერაციის მნიშვნელობა, განაცხადა ორატორმა. მისი უმნიშვნელოვანესი ღირსება ის არის, რომ სამუშაოებს იძლევა წარმატებით გადაწყვეტენ ჩვენი პარტიის საპროგრამო დებულებანი მეურნეობრიობის ეკონომიური და სოციალური პირობების გათანაბრების შესახებ, ამაღლებს წარმოების განსაზოგადოების დონეს, აახლოებს საკუთრების ორ ფორმას, ქმნის საკოლმეურნეო-კოოპერაციულ სექტორში ვერტიკალური ინტეგრაციის მატერიალურ-ტექნიკურ და ორგანიზაციულ საფუძველს.

ამხ. ვ. ი. ბოდიული შეეხო აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის საკითხებს და დაწვრილებით გაანალიზა მოლდაველ მშრომელთა მიერ შეძენილი გამოცდილება. მან თქვა, რომ სახელმწიფო სექტორში წარმატებით მუშაობს ორი საკავშირო-რესპუბლიკური და ორი რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება.

საკოლმეურნეო-კოოპერაციულ სექტორში მეურნეობათაშორისი კოოპერირების ჭეშით მრეწველობასთან მიწათმოქმედების ინტეგრაცია ვითარდება იმ დარგებში. რომლებშიც სამრეწველო პროდუქცია განკუთვნილია ამ სექტორის შიდასაწარმო მიზნებისათვის ან წარმოადგენს ნედლეულის სამრეწველო მომზადების სახელმწიფოსათვის მისაყიდად.

შემდეგ ამხ. ი. ი. ბოდიული შეეხო სასოფლო-სამმართველო ორგანოებს და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის საკოლმეურნეო-კოოპერაციულ სექტორში ასეთი ორგანოებია კოლმეურნეობათა საბჭოები. სახელმწიფო სექტორში სამმართველო ორგანოებია ტერიტორიული გაერთიანებანი, რომლებსაც სათავეში უდგანან ამ მუთაურ საწარმოთა აღმინისტრაციები, რომელთა ხელში კონცენტრირებულია აღრიცხვა, ანგარიშგება, დაფინანსება, მატერიალური მომარაგება და სხვა ფუნქციები. მმართველობისა და ხელმძღვანელობის დიდმნიშვნელოვან რგოლებად გადაიქცნენ აქ დირექტორთა საბჭოები.

მოხსენების ერთ-ერთი ნაწილი მიეძღვნა ეკონომიურ ანალიზს, რომელიც ცხადყოფს განხორციელებულ ღონისძიებათა მაღალ ეფექტიანობას.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო მოლდავეთის სსრ რესპუბლიკის პირობებში საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პერსპექტივებს, აგრეთვე ზოგიერთ პრობლემას, რომლებიც ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის დამკვიდრებასა და განვითარებასთან დაკავშირებით წამოიჭრება ხოლმე.

25 მარტს სრულიად საკავშირო სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია მუშაობას განაგრძობს.

(საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევის საუბარი ჟ. შირაკთან

24 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო საბჭოთა კავშირში ოფიციალური ეიზიტით მყოფი საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟ. შირაკი.

ჟ. შირაკმა ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ“ესტენის წერილი.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ არის ფართო შესაძლებლობები საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისა და გაფართოებისათვის იმ პრინციპულ შეთანხმებათა ბაზაზე, რომლებიც მიღწეულ იქნა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს, რამბუიეში 1974 წლის დეკემბერში. ლ. ი. ბრეჟნევმა და ჟ. შირაკმა განიხილეს საერთაშორისო ხასიათის ზოგიერთი დიდი პრობლემა.

საუბარმა საქმიან, კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა.

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მოლაპარაკება

24 მარტს კრემლში დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის ჟ. შირაკის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც მეგობრობის, თანხმობისა და საქმიანი თანამშრომლობის ვითარებაში მიმდინარეობდა, რაც დამახასიათებელია საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობისათვის, მხარეებმა კონსტრუქციული სულისკვეთებით განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის მდგომარეობა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები, ერთმანეთის გაუზიარეს აზრი ფართო წრის საერთაშორისო პრობლემებზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. მხარეებმა ცნაყოფიერება გამოთქვეს მოლაპარაკების შედეგების გამო, გამოხატეს რწმენა, რომ ეს შედეგები საშუალებას მისცემს მათ ეფექტურად გააღრმავონ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობა იმ მიმართულებით, რომელიც დაისახა 1974 წლის დეკემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დ“ესტენის რამბუიეს შეხვედრის დროს.

მიღწეულია თანხმობა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივი კომუნიკეს, ავრეთვე შესაბამისი შეთანხმებების გამოქვეყნების შესახებ. (საკდესი).

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის დოკუმენტებს

24 მარტს კრემლში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის დოკუმენტებს.

ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმებას ბარემოს დაცვის დარგში თანამშრომლობის შესახებ და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმებას სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით შეთანხმებებს ხელი მოაწერა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით — საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟ. შირაკმა.

დოკუმენტების ხელმოწერას საბჭოთა კავშირის მხრივ ესწრებოდნენ ამხანაგები ა. ა. გრომიკო, კ. ტ. მაზუროვი, დ. ს. პოლიანსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

საფრანგეთის მხრივ იყვნენ მრეწველობისა და მეცნიერული კვლევის მინისტრი მ. დ. ორანსი, სხვა სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც პრემიერ-მინისტრს ახლავან, ავრეთვე საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ჟ. ვიმონი. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი

24 მარტს მოსკოვიდან გაემგზავრა საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჟაკ შირაკი. თავისი ოფიციალური ეიზიტის დამთავრების შემდეგ იგი ეწვევა ეოლპარგოს.

საფრან

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 28-ე მუხლისა და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 25-ე და 26-ე მუხლების საფუძველზე შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგი საარჩევნო ოლქები:

ქალაქი თბილისი

ლენინის რაიონი

1. ავჭალის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ფოლად-თუჯსამომსხმელი ქარხნის სამმართველოს შენობა, ულიანოვის ქ. № 17).

საზღვრები: ზაპესის ხევის მარცხენა მხარე ულიანოვის ქუჩიდან მდინარე მტკვრამდე, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირი ზაპესის ხევიდან მდინარე გლდანულამდე, მდინარე გლდანულის მარჯვენა ნაპირი მდინარე მტკვრიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვრის მარცხენა მხარე მდინარე გლდანულიდან ულიანოვის ქუჩამდე.

2. საკურნალო საარჩევნო ოლქი (ცენტრი — ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროსაშენებელი ქარხნის სამმართველოს შენობა, ავჭალის გზატკეცილი № 84).

საზღვრები: მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირი ზაპესის ხევიდან ულიანოვის ქუჩამდე, ულიანოვის ქუჩა, ავჭალის გზატკეცილი № 84, ავჭალის გზატკეცილიდან ელექტროსაშენებელი ქარხნის დასახლების მე-10, მე-10ბ კვარტალები მთლიანად და მე-9 კვარტალის №№ 12, 13, 14, 15, 16, 18, 20, 22, 22ბ კორპუსების ჩათვლით, ელექტროსაშენებელი ქარხნის დასახლების მე-10ბ კვარტალიდან მდინარე გლდანულამდე, მდინარე გლდანულის მარცხენა მხარე ქალაქის საზღვრიდან მდინარე მტკვრამდე.

3. კუბანიშვილის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—48-ე საშუალო სკოლის შენობა, თბილისის ელექტროსაშენებელი ქარხნის დასახლების XI მიკრორაიონის II კვარტალი).

საზღვრები: ელექტროსაშენებელი ქარხნის დასახლების II მიკრორაიონის I, II, III კვარტალები, მე-3 მიკრორაიონი და გლდანის ახალი დასახლება მთლიანად.

4. ლერმონტოვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი — 114-ე საშუალო სკოლის შენობა, ავჭალის გზატკეცილი № 29).

საზღვრები: მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირი ხევძამრიდან ქსნის ქუჩამდე, ქსნის ქუჩის კენტი ნომრები მდინარე მტკვრიდან ავჭალის გზატკეცილამდე, ავჭალის გზატკეცილის ლუწი ნომრები ქსნის ქუჩიდან გუდამაყრის ქუჩამდე, გუდამაყრის ქუჩის ლუწი ნომრები ავჭალის გზატკეცილიდან მე-60 ქუჩამდე, მე-60 ქუჩის მარცხენა მხარე გუდამაყრის ქუჩიდან უსახელო ხევამდე, უსახელო ხევის მარცხენა მხარე მე-60 ქუჩიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვრის მარცხენა მხარე უსახელო ხევამდე, უსახელო ხევის მარცხენა მხარე ქალაქის საზღვრიდან მდინარე მტკვრამდე.

5. ედანოვის საარჩევნო ოლქი (ცენტრი —132-ე საშუალო სკოლის შენობა, სანზონა).

საზღვრები: მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირი ქსნის ქუჩიდან ზიგზაგის ხევამდე, ზიგზაგის ხევის მარცხენა მხარე მდინარე მტკვრიდან ქალაქის საზღვრამდე, ქალაქის საზღვრის მარცხენა მხარე ზიგზაგის ხევიდან უსახელო ხევამდე, უსახელო ხევის მარცხენა მხარე ქალაქის საზღვრიდან მე-60 ქუჩამდე, მე-60 ქუჩის მარცხენა მხარე უსახელო ხევიდან გუდამაყრის ქუჩამდე, გუდამაყრის ქუჩის კენტი ნომრები მე-60 ქუჩიდან ავჭალის გზატკეცილამდე, ავჭალის გზატკეცილის კენტი ნომრები გუდამაყრის ქუჩიდან ქსნის ქუჩამდე, ქსნის ქუჩის ლუწი ნომრები ავჭალის გზატკეცილიდან მდინარე მტკვრამდე.

6. პიონერის საარჩევნო ოლქი (ცენტრი—საქართველოს კავშირ მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შენობა, ავჭალის გზატკეცილი № 17).

